

ვახტანგ კოტეტიშვილის სახელობის ახალგაზრდა ფოლკლორისტა შეკრება  
დებულება

ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე“ (შემდგომში - „სასახლე“), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტთან და სხვა პარტნიორებთან ერთად, პერიოდულად ატარებს ვახტანგ კოტეტიშვილის სახელობის ახალგაზრდა ფოლკლორისტა შეკრებას (შემდგომში - „შეკრება“).

მუხლი 1. შეკრების მიზანი შეკრების

მიზანია:

- 1.1. მოსწავლე-ახალგაზრდებში განათლების ხელშეწყობა;
- 1.2. მოსწავლე-ახალგაზრდებში მიღებული ცოდნის, კვლევითი უნარების წარმოჩენა და გაღრმავება;
- 1.3. მოსწავლე-ახალგაზრდების ინტერესის გაძლიერება ქართული ფოლკლორის დასაუფლებლად;

მუხლი 2. შეკრებაში მონაწილეობისათვის დადგენილი მოთხოვნები

- 2.1. შეკრებაში მონაწილეობისათვის საჭიროა წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული წესების დაცვა.
- 2.2. შეკრებაში მონაწილეობის მიღება შეუძლია 12-დან 26 წლამდე ნებისმიერ ახალგაზრდას.
- 2.3. შეკრებაში მონაწილეობის მსურველებმა, უნდა წარმოადგინონ ხალხური სიტყვიერების ნიმუში ან ხალხური ზნე-ჩვეულებების, რიტუალების, ტოპონიმების და სხვა ეთნოგრაფიული რეალიების აღწერა.

მუხლი 3. შეკრების მართვა და ძირითადი წესები

- 3.1. შეკრება ტარდება ქართულ ენაზე;
- 3.2. შეკრების თარიღი განისაზღვრება სასახლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.
- 3.3. სასახლის დირექტორი შესაბამისი ბრძანების საფუძველზე ამტკიცებს შესაბამის კომისიას, რომელიც ამოწმებს წარმოდგენილი ნაშრომების შესაბამისობას ამ დებულებასთან.
- 3.4. კომისია განიხილავს წარდგენილ ნაშრომებს, ამოწმებს მათ შესაბამისობას ამ დებულებასთან და გამოავლენს საუკეთესო ავტორებს.
- 3.5. საუკეთესო ნაშრომების ავტორები სასახლეში გამოძახებულნი იქნებიან ფოლკლორისტა შეკრებაზე, ნაშრომთა წარსადგენად.

3.6. საქართველოში არსებული ეპიდემიური მდგომარეობის გათვალისწინებით, სასახლე იტოვებს უფლებას შეკრება ჩაატაროს დისტანციური ფორმით.

#### მუხლი 4. მოთხოვნები ნაშრომთათვის

4.1. ნაშრომები წარდგენილ უნდა იყოს Microsoft Word-ის ან PDF-ის ფორმატით, დანართი N1ით გათვალისწინებულ შევსებულ თავფურცელთან ერთად, სასახლის ელექტრონულ ფოსტაზე: [folklorepalace@nationalpalace.ge](mailto:folklorepalace@nationalpalace.ge)

4.2. ნაშრომის ავტორმა ნაშრომის გამოგზავნიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში უნდა მიიღოს მემორანდუმით განაცხადის მიღების დადასტურების შესახებ. აღნიშნულ ვადაში დასტურის მიუღებლობის შემთხვევაში, განმცხადებელი საკითხის გასარკვევად უნდა დაუკავშირდეს სასახლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულ საკონტაქტო პირს.

4.2. ნაშრომს შესაძლებელია თანდართული ჰქონდეს ნებისმიერი სახის დამატებითი მასალა (მათ შორის, ფოტო, ვიდეო, აუდიო-ჩანაწერი).

4.3. ნაშრომი არ უნდა იყოს წინა წლებში არსებული ფოლკლორისტა შეკრებებზე წარდგენილ ნაშრომთა გამეორება და არ უნდა შეიცავდეს პლაგიატს.

#### მუხლი 5. ჯილდოები

5.1. ფოლკლორისტა შეკრებაში ყველა მონაწილეს, რომელიც დააკმაყოფილებს ამ დებულების მოთხოვნებს, გადაეცემა შესაბამისი სიგელი.

5.2. კომისიის გადაწყვეტილებით, საუკეთესო ნაშრომთა ავტორები დაჯილდოვდებიან შესაბამისი დიპლომებით.

დანართი N1

სახელი: გვარი:

ტელეფონის ნომერი: ელექტრონული ფოსტა:

მშობლის ტელეფონის ნომერი (18 წლამდე პირთათვის):